ჭეშმარიტად, ეს სისხლდენა ვენიდან (სისხლძარღვიდან) არის. შეიკავე თავი ლოცვისგან იმდენი დღე, რამდენიც ჩვეულებრივ გქონდა მენსტრუაცია, შემდეგ აიღე ღუსლი (დიდი განბანვა) და განაგრძე ლოცვა

მორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ფატიმა ბინთ აბი ჰუბაიშიმ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა: "მე მაქვს ქრონიკული სისხლდენა (ისთიჰადა), რომლისგანაც ვერ ვიწმინდები. უნდა შევწყვიტო თუ არა ლოცვა?" მან თქვა: «არა. ჭეშმარიტად, ეს სისხლდენა ვენიდან (სისხლძარღვიდან) არის. შეიკავე თავი ლოცვისგან იმდენი დღე, რამდენიც ჩვეულებრივ გქონდა მენსტრუაცია, შემდეგ აიღე ღუსლი (დიდი განბანვა) და განაგრძე ლოცვა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ჰუბაიშის ქალიშვილი ფატიმა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეეკითხა: მე არ მიჩერდება სისხლდენა და გრძელდება მენსტრუაციის პერიოდის გასვლის შემდეგაც, ეს მდგომარეობა მენსტრუაციის მდგომარეობაა და უნდა შევწყვიტო თუ არა ლოცვა? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უთხრა: ეს არის ისთიჰადის სისხლდენა — პათოლოგიური სისხლდენა, რომელიც გამოწვეულია ვენის დაზიანებით საშვილოსნოში. ეს არ არის მენსტრუალური სისხლი. როდესაც დადგება შენი ჩვეულებრივი ყოველთვიური მენსტრუაციის დრო, როგორც ეს იყო მანამდე, სანამ ისთიჰადის სისხლდენა დაგემართებოდა, თავი შეიკავე ლოცვისგან, მარხვისგან და სხვა ქმედებებისგან, რომლებიც მენსტრუაციის დროს ქალისთვის აკრძალულია. როცა დამთავრდება ის დრო (მენსრტუაცცის დღეების დრო) მაშინ შენ მენსტრუაციიდან გასუფთავებულად ითვლები, დაიბანე სისხლდენის ადგილები, შემდეგ დაიბანე სხეული მთლიანად, რათა გასუფთავდე და შემდეგ ილოცე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3029

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee